სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/94

ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2019

**სტუ-ის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2019 წლის 26 დეკემბრის №05-01/27 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 30 დეკემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ მოწონებული (2019 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №01-05-04/430) 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით;
2. დაევალოს სტუ-ის ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელს 2020 წლის თებერვლის ბოლოს წარმოადგინოს:
   - სტუ-ის ოპტიმიზირებული საშტატო განრიგი;
   - გადამუშავებული და პროგრამული ხასიათის ნაერთი ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ახლად შექმნილი სტრუქტურული ერთეულის სამეთვალყურეო საბჭოს ბიუჯეტიდან დაფინანსება, რომლის მოცულობაც განისაზღვროს სტუ-ის ადმინისტრაციის ხარჯების 10%-ის ფარგლებში;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე